არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი"

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი" არის ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - შემდგომში „ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლი".

2. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლს" აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში, მრგვალი ბეჭედი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

3. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი" საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებს და მოვალეობებს. დებს გარიგებებს და შეუძლია გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ.

4. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ წესდებით და „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" შინაგანაწესით.

5. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი" მუშაობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით", „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით", „საქართველოს კანონით კულტურის შესახებ", საქართველოს სხვა მოქმედ კანონმდებლობათა შესაბამისად.

6. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ონი,კახაბერის ქუჩა N 3.

7. ელ. ფოსტა: onskulturiscentri@yahoo.com. ტელეფონი - 599 79 29 39.

მუხლი 2. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას, ხალხური თვითშემოქმედების გამოვლენასა და განვითარებას.
2. მოიძიოს, აღრიცხოს და განავითაროს ხალხური შემოქმედების ყველა ჟანრი.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე

3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის საფუძველზე, მოაწყოს შემოქმედებითი ექსპედიციები სხვადასხვა ფოლკლორული და სხვა ეთნოგრაფიული მასალის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით.

4. ხელი შეუწყოს ხალხური რეწვის მივიწყებული ტრადიციული დარგების აღორძინებასა და პოპულარზაციას. ხალხური მთქმელების,ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლების და კოლექტივების, მუსიკალური, ქორეგორაფიული და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეგროვებას, შესწავლას და გამოვლენას. განახორციელოს მუნიციპალიტეტში ადრე გავრცელებული ტრადიციების, წეს-ჩვეულებების და თამაშობების შესწავლა და აღორძინება.
5. ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასვენების, გართობის, ფიზიკური და სულიერი ძალების აღდგენის უზრუნველსაყოფად, თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარებისათვის შეიმუშაოს სხვადასხვა კულტურული პროგრამა და უზრუნველყოს მისი განხორციელება.
6. წინასწარ დაგეგმოს მასობრივი საერო დღესასწაულები და უზრუნველყოს მასში მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფართო საზოგადოების ჩართულობა.

7. შეიმუშაოს და განახორციელოს პროექტები „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" შემდგომი განვითარებისათვის.

8. განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომელიც ხელს შეუწყობს დამატებით ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ისეთი კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.

მუხლი 3. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" უფლებები:

1. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი" ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებად უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადამიანების შემოქმედებით თავისუფლებას, რაც შეიძლება მეტი ადამიანის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობას მუნიციპალიტეტის კულტურულ- შემოქმედებით ცხოვრებაში.
2. ჩამოაყალიბოს ფასიანი და უფასო წრეები, სტუდიები, ანსამბლები და სხვ.
3. მოაწყოს სამეცნიერო ექსპედიციები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემონახული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მოძიებისა და პოპულარიზაციის მიზნით.
4. დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა მხატვრულ კოლექტივებთან კულტურათა ურთიერთგაცვლის ხელშეწყობის მიზნით.
5. მოაწყოს დათვალიერებები, ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსები, შეხვედრები, თემატური საღამოები, საქმიანი შეხვედრები და სხვა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის თავისუფალი დროის ორგანიზებულად გატარებას.
6. განათავსოს სპეციალური ფეისბუქ-გვერდი, სადაც ფართო საზოგადოებას გააცნობს მასალებს „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ მუნიციპალიტეტში და მის ფარგლებს გარეთ.
7. ეხმარება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებს.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე

8. დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობებს.

მუხლი 4. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" მართვა

1. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი” საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ონის მუნიციპალიტეტის მერი.

2. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” დირექტორი:

ა) ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იღებს თანამშრომლებს, შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს, საშტატო განრიგს და ამტკიცებს შინაგანაწესს;

ბ) მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ძირითადი ქონება;

გ) კანონმდებლობიდან გამომდინარე დებს ხელშეკრულებებსა და გარიგებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;
დ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის თაობაზე;
ე) წარმართავს „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის ეფექტურობასა და კანონიერებაზე. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” საკუთრებაში არსებული ქონების დაცვასა და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე;
ვ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებასა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს;

3. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” სხვა თანამშრომლების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” შინაგანაწესით.

მუხლი 5.ფინანსური სახსრები

1. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” ფინანსური წყაროებია:

ა)ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
ბ)ფასიანი სწავლებიდან და კულტურული ღონისძიებებიდან შემოსული სახსრები, შემოწირულობები;
გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;
დ) ფინანსური რესურსი გამოიყენება ამ წესდებით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის,მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, კანონმდებლობით ნებადართული სხვა საკითხების მოგვარებისათვის.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე

მუხლი 6. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” ზედამხედველობა

1. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის” მუშაობაზე ზედამხედველობა გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონთან მიზანშეწონილობის, მუშაობის ეფექტურობის, საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზედამხედველობას ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

3. მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია გამოითხოვოს მასალები და ინფორმაციები, ან შესაბამისი სამსახურის მეშვეობით ადგილზე შეისწავლოს „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" საქმიანობა.

მუხლი 7. ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განკარგვა მოხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1. „ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის" წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე